

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის
ოქმი №2

დაბა ქედა

14.03.2017

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ-ზე;

სხდომა დამთავრდა: 12:00 სთ-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე დავით დუმბაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ანანიძე და კომისიის წევრი ჯამბულ სურმანიძე.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 თებერვლის №11 ბრძანებით განსაზღვრულ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის პირველი ეტაპის - განცხადების გადარჩევა

2. კონკურსის მეორე ეტაპის - გასაუბრების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ვაკანტური თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი იქნა 6 განაცხადი. მისივე განმარტებით, კანდიდატთა ნაწილს საერთოდ არ აქვს ან არასრულყოფილად აქვს ატვირთული საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (ოქმი №1) დადგენილი სავალდებულო დოკუმენტები.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული 6 განცხადების გადარჩევის შემდეგ:

ა) კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა წარმატებით გადალახეს და მეორე ეტაპზე- გასაუბრებაზე დაშვებულნი იქნან წინამდებარე ოქმზე თანდართული №1 დანართში მოცემული კანდიდატები.

ბ) კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა ვერ გადალახეს და კონკურსის მე-2 ეტაპზე დაშვებულნი არ იქნენ წინამდებარე ოქმზე თანდართული №2 დანართში მოცემული კანდიდატები.

2. იმ კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა ვერ გადალახეს და კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებული არ იქნენ, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით. აღნიშნული პირებს უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, მხოლოდ წერილობითი ფორმით, გასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, ხოლო შემდეგ-სასამართლოში, ან არ გამოიყენონ საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინონ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

3. კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის პირველი ეტაპი წარმატებულად გადალახეს და დაშვებულნი იქნენ მე-2 ეტაპზე, კონკურსის მეორე ეტაპის-გასაუბრების გამართვის, ადგილისა და დროსი შესახებ (გრაფიკის შესაბამისად) ეცნობებათ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე არაუგვიანეს 2 დღით ადრე გასაუბრების გამართვის დღისა.

4. კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართოს 2017 წლის 21 მარტს, დაბა ქედა, მ. კოსტავას №3-ში, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობაში, მეორე სართულზე.

5. კონკურსანტთა რეგისტრაცია იწარმოოს 10⁰⁰-11⁰⁰ სთ-მდე, კანდიდატის გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

6. კონკურსის მეორე ეტაპის - გასაუბრების გამართვის შესახებ ინფორმაცია და კომისიის სხდომის ოქმი, კანდიდატთა ინფორმირების მიზნით განთავსდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა
და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე,
ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი

დავით დუმბაძე
(ხელმოწერილია)

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა
და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე,
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გურამ ანანიძე
(ხელმოწერილია)

კომისიის წევრი,
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ჯამბულ სურმანიძე
(ხელმოწერილია)

კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა წარმატებით გადალახეს და მეორე ეტაპზე-
გასაუბრებაზე დაშვებულნი იქნენ შემდეგი კანდიდატები

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში		
	პირადი ნომერი	განაცხადის განხილვის შედეგი
1	61008016726	აკმაყოფილებს მოთხოვნებს
2	01027017148	აკმაყოფილებს მოთხოვნებს
3	61008001520	აკმაყოფილებს მოთხოვნებს

კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა ვერ გადალახეს და მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე
დაშვებულნი არ იქნენ შემდეგი კანდიდატები

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო			
საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში			
	პირადი ნომერი	ხარვეზი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე	განაცხადის განხილვის შედეგი
1	61010008484	არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
2	61008020424	არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
3	55001026918	არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნით დადგენილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს